PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ კოლეჯი „ლაკადა“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ რემიშვილი

წევრები:

სახელი, გვარი გივი დოლიძე

(თბილისი, 2020)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი „ლაკადა“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის **01/07/2020 N 547104** ბრძანების საფუძველზე დაიწყო დისტანციური ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კოლეჯში „ლაკადა“ (შემდგომში დაწესებულება) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის **„კედლის დაფარვის სამუშაოები“** დამატების უფლების მოპოვების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების მიზანი იყო ექსპერტების მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან პროგრამის შესაბამისობის შეფასება.

დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების ფარგლებში ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში წარდგენილი დოკუმენტაცია. წარმოების პროცესში ექსპერტების მიერ დამატებით იქნა მოთხოვნილი დოკუმენტები და ფოტო-მასალა, რომლის საფუძველზეც გადამოწმდა ადამიანური რესურსის კვალიფიკაცია, მომსახურების ხელშეკრულებები, მატერიალური რესურსი და მოხდა პროგრამის განხორციელების ადგილის შეფასება.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ იქნა გასაუბრების განრიგი და შერჩეული იქნა დრო. დაწესებულების წარმომადგენლებისა და ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრება განხორციელდა 2020 წლის 8 ივლისს დისტანციურად კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, გასაუბრება ჩატარდა პლატფორმა „ზუმის“ მეშვეობით. გასაუბრების დროს მოხდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებისა და მათი შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, საგანმანთლებლო პროგრამის შეფასებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელ პირებთან, სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასებაზე პასუხისმგებელ პირებთან,საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება. გასაუბრება წარიმართა პოზიტიურ და კონსტრუქციულ ვითარებაში დღის წესრიგის შესაბამისად (იხ. დანართი 1)

სსიპ კოლეჯ „ლაკადას“ 6 წლის ვადით მიენიჭა პროფესიული საგანამანთლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი **2019 წლის 14 აგვისტოს, N148** პროფესიული საგანმანათებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გაგადაწყვეტილებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საჭიროა დაწესებულებამ გონივრულ ვადაში, სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით, რეგულაციები მოიყვანოს შესაბამისობაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯ „ლაკადას“ წესდებასთან.

ქვესტანდარტი 1.1.

-სასურველია გადაიხედოს რეგულაციები და წარმოებული დოკუმენტები ტექნიკური უზუსტობების გამორიცხვის მიზნით(ერთ საგანთან/პირთან/პროცესთან მიმართებაში გამოყენებული ტერმინების, დასახელებების, პოზიციების დაზუსტება/ერთგვაროვნად მოხსენება; თავების/მუხლების/პუნქტების ნუმერაცია და მათი რეფერენსირების დროს გამოყენება);

-უმჯობესია გადაიხედოს რეგულაციები წესების დაზუსტების მიზნით(ჩანაწერი გახდეს მკაფიო თუ რამდენჯერ აქვს პროფესიულ სტუდენტს უფლება მოითხოვოს სწავლის შედეგების განმეორებითი შეფასება);

-მიზანშეწონილია გადაიხედოს საწარმოებთან გაფორმებული დოკუმეტები, მემორანდუმისა და ხელშეკრულების შედგენის პრინციპების გათვალისიწნებით(მემორანდუმს მიეცეს მთავარ საკითხზე ურთიერთშეთანხმების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

გამოხატვის სახე, ხოლო კონკრეტული ვადები და პირობები დარეგულირდეს ხელშეკრულებით; შეთანხმების საგანში ფიგურირებდეს „გაცნობითი პრაქტიკის“ მოდულის დასახელება).

ქვესტანდარტი 1.6.

ექსპერტების აზრით, უმჯობესია კოლეჯს ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დამტკიცებულ დოკუმეტებს მიეცეს კონსოლიდირებული სახე, რეგულაციებში გადაფარვის გამორიცხვისა და სისტემაში მოყვანის მიზნით.

ექსპერტთა შეფასებით ყველა რეკომენდაცია, რომელიც ექსპერტთა მიერ გაიცა წინა ვიზიტის ფარგლებში, შესრულებულია დაწესებულების მიერ.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია

კომპონენტი 2.1.1.-7

ექსპერტთა შეფასებით საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება კედლის დაფარვის სამუშაოები არის შეცდომაში შემყვანი, ვინაიდან ჩარჩოდოკუმენტში მისანიჭებელი კვალიფიკაცია "კედლის დაფარვის სამუშაოები" აერთიანებს სამ არჩევით კონცენტრაციას. ერთ-ერთი კონცენტრაციაა „სამღებრო სამუშაოების შესრულება". პროგრამის სახელწოდებად ნაცვლად „სამღებრო სამუშაოების შესრულება" განსაზღვრულია „კედლის დაფარვის სამუშაოები". „კედლის დაფარვის სამუშაოები" არის ფართო მცნება, რომელიც თავის თავში მოიცავს, როგორც „საბათქაშე სამუშაოების წარმოების"(პირველი კონცენტრაცია), ასევე „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი" (მესამე კონცენტრაცია) მოდულებს; ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე რეკომენდირებულია პროგრამის სახელწოდება დაკონკრეტდეს და დაერქვას „კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოების შესრულება)" ან „სამღებრო სამუშაოების შესრულება")).

კომპონენტი 2.2.1.-1

ექსპერტთა შეფასებით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. რეკომედნირებულია სწავლის დაწყებამდე მოხდეს მატერიალური რესურსის მობილიზება დაწესებულების მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

განვითარების რეკომენდაცია

რეკომენდირებულია დაწესებულების ვებგვერდზე განთავსდეს განახლებული მარეგულირებელი დოკუმენტები;

კომპონენტი 2.1.1.-3

ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. რეკომენდირებულია აღნიშნულ დოკუმენტში გადაიხედოს და აზრობრივად გაიმართოს მუხლი 2.

კომპონენტი 2.4.1.-6

ექსპერტთა შეფასებით A და B გარემოში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხოდ, C გარემო დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების დროს დაწესებულებას არ ჰქონდა მოწყობილი. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია, რომ შემუშავებულ იქნეს დამატებით უსაფრთხოების წესები კედლის დაფარვის სამუშაოების პროგრამისთვის განკუთვნილ C გარემოსთვის და გამოკრულ იქნეს უშუალოდ აღნიშნულ გარემოში.

კომპონენტი 2.4.2.-4

რეკომენდირებულია სასწავლო პროცესის მენეჯერმა მოახდინოს კოორდინირებული თანამშრომლობა მონიტორინგის ჯგუფთან და პროფესიული სტუდენტების მიღწევების ანალიზის შედეგად მიღებული ინფორმაცია დაიყვანოს პროფესიულ სტუდენტებამდე მათი შემდეგომი განვითარებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება პროგრამისთვის კედლის დაფარვის სამუშაოები

პროგრამის სახელწოდება	კედლის დაფარვის სამუშაოები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოები /Basic Vocational Qualification in Wall Covering Works
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ-კოლეჯის „ლაკადა“ დირექტორის 2020 წლის 12 ივნისი № 04/35 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. #2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	**30** მის: **წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. #2** განხ. ფორმა: **მოდულური**
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	58
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	73

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება პროგრამისთვის კედლის დაფარვის სამუშაოები

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eusoft Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება პროგრამისთვის კედლის დაფარვის სამუშაოები

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

1. დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია კოლეჯის მისია: „კოლეჯი „ლაკადა“, სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვით უზრუნველყოფს სტუდენტთა პროფესიული განათლების მაღალი დონის მიღწევას რეგიონისა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის. კოლეჯი ორიენტირებულია კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებასა და დასაქმებაზე“. დაწესებულებას შემუშავებული აქვს 2020-2026 წლების სტრატეგიული გეგმა. სტრატეგიულ გეგმაში მოცემულია ჩატრებული SWOT-ანალიზი და სტრატეგიული მიზნები. შემუშვებულია 2020-2026 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელების გრაფიკი. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, სსიპ კოლეჯი "ლაკადა"-ს დირექტორის 2019 წლის 30 დეკემბრის N 04/121 ბრძანებით. ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია ამოცანები, აქტივობა თვეების მიხედვით. თვითოეული აქტივობისთვის განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი, შემსრულებელი და ინდიკატორი. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს კოლეჯის სტრატეგიული გეგმიდან და ითვალისწინებს მოდულური პროგრამის **კედლის დაფარვის სამუშაოების** შემუშავებას და განხორციელებას.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგია“ (დამტკ. 11.06.2020 ბრძანება №04/33), სადაც გაწერილია, რომ საგანამანათლებლო პროგრამის შეუშავება ხორციელდება საგანამანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმძღვანელობით. პროგრამის დამატებისთვის კი კოლეჯის პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი მოიპოვებს და ამუშავებს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) კურსდამთავრებულთა ბაზრის ანალიზი-ახალ პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაზე სწავლის სურვილისა და დასაქმების შესახებ;

ბ) სტატისტიკურ მონაცემებს დასაქმებულთა მაჩვენებლის მიხედვით;

გ) შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებს და დასაქმებულთა კონკრეტულ მოთხოვნებს.

კოლეჯმა წარმოადგინა გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის **კედლის დაფარვის სამუშაოები** განხორციელების შესახებ, რომელიც დაფუძნებულია პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტზე. „პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების“ დოკუმენტში განმარტებულია, რომ დაწესებულება თანმშრომლობს რეგიონში არსებულ სამშენებლო კომპანიებთან, არაერთი კურსდამთავრებულია დასაქმებული მათთან და გამოთქვამენ იმედს, რომ კოლეჯიდან მიიღებენ კვალიფიციურ კადრს. კოლეჯის სამშენებლო მიმართულების კურსდამთავრებულთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

85% თვითდასამებულია. დაწესებულებამ დისტანციური გამოკითხვის მეთოდით ჩაატარა კვლევა საწარმოს ხელმძღვანელებთან. შპს პირამიდა-1 და შპს ზანგო 2015 დაასაქმებს კურსდამთავრებულთა 100%-ს მათი სურვილის შემთხვევაში.

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა თხუთმეტამდე საჯარო სკოლის 170 მერვე-მეთორმეტე კლასელი მოსწავლე, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 9 თემის ხელმძღვანელი პირი. ასევე გამოიკითხა გალის საგანმანთლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი, რომლისგანაც დაწესებულებამ მიიღო ინფორმაცია, რომ მოსწავლეებთან ჩატარებული საორიენტაციო შეხვედრისას 72%-მა დაასახელა პროფესია **კედლის დაფარვის სამუშაოები.**

ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამით **კედლის დაფარვის სამუშაოები** (დამტკიცებულია დირექტორის მ/შ-ის 12.06.2020 წლის N04/35 ბრძანებით. დაშვების წინაპირობაა - საბაზო განათლება. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია "სსიპ-კოლეჯ „ლაკადას" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" (დამტკიცებულია დირექტორის მ/შ-ის 18.05.2020 წლის N04/22 ბრძანებით; რომელიც ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას. დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებას. (ცვლილება *(28.05.2020 N59/ნ).* საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

3. დაწესებულების მიერ შემუშავებულია „პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის და პროგრამებზე ჩასრიცხ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთება.“ „პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის და პროგრამებზე ჩასარიცხ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთების“ მიხედვით პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენს **30-ს.** დაწესებულების მიერ შემუშავებულია და უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებულია სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“-ს დირექტორის მ/შ 2018 წლის 21 აგვისტოს N158 ბრძანება - „სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. მეთოდოლოგია განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 331 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად. დოკუმენტში გაწერილია ზოგადი დებულებები, კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელი გარემოებები. კერძოდ, დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

ა) მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A,B და C) გარემო; ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა; გ) საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი; დ) მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა.

მეთოდოლოგიის მიხედვით დაწესებულებაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში;

შესაძლებელია ერთმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა განახორციელოს რამდენიმე სხვადასხვა მოდული შრომის კოდექსით განსაზღვრული ჩასატარებელი კვირეული საათების (კვირაში მაქსიმუმ 40 საათიანი დატვირთვა) გათვალისწინებით შედგენილი სასწავლო განრიგის მიხედვით;

მოდულის განხორციელებისათვის საჭირო საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი საკმარისი უნდა იყოს ობიექტზე განაწილებული პროფესიული სტუდენტებისათვის;

ინტერვიურებისას დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია ერთი A და B გარემო, თითოეული გარემოს ფართი და მატერიალური რესურსი გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე. სწავლება შესაძლებელი განხორციელდეს ორ ცვლაში. სასწავლო გარემოს ვიზუალური დათვალიერებისას დადასტურდა აღნიშნული პირობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Erase Free

ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.რეკომენდირებულია აღნიშნულ დოკუმენტში გადაიხედოს და აზრობრივად გაიმართოს მუხლი 2.

4. საგანმანათლებლო პროგრამისთვის **კედლის დაფარვის სამუშაოები** გათვალისწინებულია როგორც მატერიალური რესურსი, ისე საგანმანათლებლო რესურსი. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან, კერძოდ, პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია A და 2B გარემო (C გარემოზე ინფორმაცია იხილეთ მესამე პუნქტში) . A და B გარემო უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით (Aგარემოში 15-ზე მეტი მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისთვის, B გარემოში გამართულია 23 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტისთვის). პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. საგანმანათლებლო რესურსი ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია, როგორც ნაბეჭდი ასევე ელექტრონული სახით.

   ექსპერტთა შეფასებით საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსი A და B გარემო უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო C გარემო ვიზიტის დროს დაწესებულებას არ ჰქონდა მოწყობილი (იხ. კომპონენტი 2.1.1-3).

5. საგანმანათლებლო პროგრამას **კედლის დაფარვის სამუშაოები** არჩევითი მოდულები არ გააჩნია.
6. საგანმანათლებლო პროგრამა **კედლის დაფარვის სამუშაოები** დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მ/შ-ის მიერ 12.06.2020 წლის N04/35 ბრძანებით. სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის დამტკიცების,ცვლილების შეტანის და გაუქმების წესში, მუხლი1, განსაზღვრულია პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი-კოლეჯის დირექტორი. დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება კომისია, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას პროგრამის დამატების თაობაზე, რის საფუძველზეც დირექტორი ამტკიცებს პროგრამას. დაწესებულებამ ექსპერტებს წარმოუდგინა კომისიის ოქმები, რომლის საფუძველზეც დირექტორის მიერ მოხდა საგანმანათლებლო პროგრამის **კედლის დაფარვის სამუშაოები** დამტკიცება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

7. **ექსპერტთა შეფასებით საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება კედლის დაფარვის სამუშაოები უნდა დაკონკრეტდეს.** ვინაიდან ჩარჩოდოკუმენტში მისანიჭებელი კვალიფიკაცია "კედლის დაფარვის სამუშაოები" აერთიანებს სამ არჩევით კონცენტრაციას. ერთ-ერთი კონცენტრაციაა „სამღებრო სამუშაოების შესრულება". პროგრამის სახელწოდებად ნაცვლად „სამღებრო სამუშაოების შესრულება" განსაზღვრულია „კედლის დაფარვის სამუშაოები". „კედლის დაფარვის სამუშაოები" არის ფართო მცნება, რომელიც თავის თავში მოიცავს, როგორც „საბათქაშე სამუშაოების წარმოების"(პირველი კონცენტრაცია), ასევე „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი" (მესამე კონცენტრაცია) მოდულებს; **ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე რეკომენდირებულია პროგრამის სახელწოდება დაკონკრეტდეს და დაერქვას „კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოების შესრულება)" ან „სამღებრო სამუშაოების შესრულება")).დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრეის დროს გაირკვა, რომ მათაც იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პროგრამის შემუშავების დროს, და გადაწყვიტეს, რომ პროგრამის დასახელება შეესაბამებოდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას.**

8. საგანმანთლებლო პროგრამა **კედლის დაფარვის სამუშაოები** შესაბამისობამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 29 დეკემბრის №844 ბრძანებით დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტს - ,,მშენებლობის წარმოება", (ცვლილება 2019 წლის 31 იანვარი N 85/ი). პროგრამის ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია - პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა. პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საგანმანათლებლო პროგრამა „კედლის დაფარვის სამუშაოები“ (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს ბრძანებით № 04/35 12.06.2020 წ.).
2. დაწესებულების მისია;
3. დაწესებულების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი და 2020 წლის სამოქმედო გეგმა http://lakada.edu.ge/
4. სსიპ-კოლეჯში „ლაკადა“ პროგრამების დამტკიცებისა, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი (დამტკიცებული დირექტორის მ/შ-ს ბრძანებით №04/32 11.06.2020 წ.).
5. „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“(დამტკიცებული დირექტორის მ/შ-ს ბრძანებით N04/122 30.12.2019 წ.)
6. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი”(დირექტორის მ/შ-ს ბრძანებით N04/22 18.05.2020 წ.)
7. „პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის დამტკიცების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი“(დამტკიცებული დირექტორის მ/შ-ს ბრძანებით N04/32 11.06.2020 წ).
8. „ბიბლიოთეკის მუშაობის წესი“(დამტკიცებული დირექტორის მ/შ-ს ბრძანებით N04/37 14.05.2019წ.).
9. გაუმჯობესების გეგმა(დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს ბრძანებით № 04/34 12.06.2020 წ.“ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების დამტკიცების შესახებ“).
10. პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება 2020 წ.
11. ინტერვიურირეება კოლეჯის წარმომადგენლებთან.
12. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის განხორციელების ადგილად განსაზღვრულია - წალენჯიხის მუნიციპალიტეტი .ქ. ჯვარი ყაზბეგის ქ. №2. „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ დირექტორის მ/შ-ის 2019 წლის 30 დეკემბრის N04/122 ბრძანების მიხედვით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრულია - 30 სტუდენტი. ვიზიტისას კოლეჯმა წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამის **კედლის დაფარვის სამუშაოები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free
განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალი, რომელიც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტში განსაზღვრულ მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალთან. პროგრამაში დანართის სახით დამტკიცებულია საჭირო მატერიალური რესურსი. კოლეჯის მიერ წარმოდგენილ იქნა მატერიალური რესურსების შესყიდვებისა და მიღება-ჩაბარების დოკუმენტაცია. კოლეჯში პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A და B გარემო; ვიზიტის დროს კოლეჯს არ ჰქონდა მოწყობილი C გარემო პროგრამისთვის **კედლის დაფარვის სამუშაოები;** ვიზუალური დათვალიერებისას კოლეჯის ტერიტორიაზე აღმოჩნდა პრაქტიკული სამუშაოებისთვის განკუთვნილი ადგილი, რომელსაც იყენებენ მილევადი პროგრამებისთვის. დაწესებულებას შემუშავებული და პასუხუსმგებელი პირის მიერ დამტკიცებული აქვს გაუმჯობესების გეგმა,რომელშიც გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის საჭირო ქტივობები, სავარაუდო ფინანსური რესურსი და მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯმა განცხადებით მიმართა C გარემოს მოწყობის თაობაზე სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში (08,04,2020 #333018 წერილი). სააგენტოდან დაწესებულებამ მიიღო პასუხი დაფინანსების შესახებ C გარემოს მოსაწყობად (2020 წლის 30 ივნისის #320702-04 ხელშეკრულება). ვიზუალურად დათვალიერებისას შემოწმდა A და B გარემოში არსებული მატერიალურ - ტექნიკური რესურსი. A და B გარემოში არსებული მატერიალური რესურსი შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტში განსაზღვრულ მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალთან. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია 39 დასახელების მატერიალური რესურსი, რომელიც წარმოადგენს კოლეჯის საკუთრებას. კოლეჯმა წარმოადგინა მატერიალური რესურსის შესყიდვების და მიღება-ჩაბარების აქტები, რის მიხედვითაც დადასტურდა მათი მფლობელობა. ინტერვიურებისას პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სახარჯ მასალებს შეიძენენ სწავლის დაწყების წინ. აღსანიშნავია, რომ კოლეჯს შემუშავებული აქვს „სასწავლო მიზნებისათვის მასალებით უზრუნველყოფის,შენახვისა და გამოყენების წესი“ (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს 27.05.2019 წ N04/52 ბრძანების საფუძველზე.) პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან: შპს „ქალაქმშენსერვისი“, შპს „პირამიდა -1“, შპს „ზანგო 2015“, შპს „ევრა2020“(მემორანდუმები გაფორმებულია უვადოდ, შპს ევრა 2020, 12.06.2020-წალენჯიხა, შპს ქალაქმშენ სერვისი-ზუგდიდი 12.06.2020, შპს პირამიდა1-სენაკში , შპს ზანგო -წალენჯიხა;) ექსპერტების მიერ შემოწმდა ზემოხსენებულ კომპანიებთან დადებული მემორანდუმები, სადაც გაწერილია მხარეთა უფლება-მოვალეობები. კომპანიას შეუძლია მიიღოს მაქსიმუმ 15 სტუდენტი (შემდგომში პრაქტიკანტი), რომლებსაც ჩაუტარდებათ პრაქტიკული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

მეცადინეობები. მემორანდუმის თანახმად პრაქტიკის ვადები მოიცავს სწავლის დაწყებიდან სწავლის დასრულების პერიოდს.ინტერვიუირების დროს დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ტრანსპორტირებას პრაქტიკის ობიექტებზე. ეს კომპანიები, მემორანდუმის საგნიდან გამომდინარე, უზრუნველყოფენ პროგრამებით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტების (მათ შორის "გაცნობითი პრაქტიკა") საკუთარ ტერიტორიაზე განსახორციელებას; ასევე პასუხისმგებლობას იღებენ პროფესიულ სტუდენტებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების განმტკიცებასა და პროფესიულ გარემოში ინტეგრირებაზე. თუმცა დისტანციური წარმოების დროს ექსპერტების მიერ ვერ იქნა დათვალიერებული პრაქტიკის ობიექტები. **ექსპერტთა შეფასებით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. რეკომედნირებულია სწავლის დაწყებამდე მოხდეს მატერიალური რესურსის მობილიზება დაწესებულების მიერ.**

2. საგანმანთლებლო პროგრამის **კედლის დაფარვის სამუშაოები** დანართის სახით წარმოდგენილია პროგრამის განმახორციელებელ პირთა სია. სულ პროგრამას განახორციელებს 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის პროფესიულ დარგობრივ მოდულებს განახორციელებს 2 პროფესიული მასწავლებელი. ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწავლა შესაძლებელია განხორციელდეს ორ ცვლაში, საჭიროებიდან გამომდინარე, თუმცა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთებაში წერია „**ერთცვლიანი** სწავლების გათვალისწინებით, **კედლის დაფარვის სამუშაოები** პროგრამის სუტენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30 პროფესიულ სტუდენტს“. პროფესიული განათლების მასწავლებლის (საშტატო) დატვირთვის გაანგარიშებისას კოლეჯი ითვალისწინებს მასწავლებლის მიერ განსახორციელებელ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა - მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი და სხვ. პროგრამის პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს.
ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების დროს ექსპერტთა მიერ შემოწმებულ იქნა პროგრამისათვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. წარმოდგენილი დოკუმენტებით პროფესიული განათლების მასწავლებლებს უდასტურდებათ დარგის შესაბამისი კვალიფიკაცია და კომპეტენცია. ხარისხის მართვის მენეჯერმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ **კედლის დაფარვის სამუშაოების** პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლებმა გაიარეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთავაზებული სხვადასხვა ტრენინგები. ერთ-ერთ განმახორციელებელ პირს გავლილი აქვს, ასევე გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ ჩატარებული ტრენინგი შრომის უსაფრთხოების საკითხებზე მშენებლობაში და გააჩნია შესაბამისი სერთიფიკატი. ინტერვიურებისას პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილება და შესაბამისად პროფესიული სტუდენტის შეფასების კომპეტენცია. ინტერვიურებისას პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილება და შესაბამისად პროფესიული სტუდენტის შეფასების კომპეტენცია.

დაწესებულების „შინაგანაწესში“ (დამტკ. 18.05.2020 ბრძ. N04/22) თავი 2; მუხლი 6. განსაზღვრული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ **კედლის დაფარვის სამუშაოების** საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობს და ისინი აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებულია „წინმსწრები ხელშეკრულებები“. ხელშეკრულების საგანში გაწერილია ის მოდულები, რომლელსაც განახორციელებს მასწავლებელი, ხელშეკრულების შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების იურისტს ხელშეკრულების სახელწოდებასთან დაკავშირებით, მან განმარტა, რომ აქვს მსგავსი ხელშეკრულებების გაფორმების პრაქტიკა; დირექტორის მ/შ-ს მიერ 05.06.2020 N 04/26 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები, რომელშიც გაწერილია პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები.

ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების ექსპერტთა მიერ შემოწმებულ იქნა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მოხდა მასთან გასაუბრება. დოკუმენტაციის მიხედვით, მას დაუდასტურდა შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია. ის ახორციელებდა მღებავის საგნობრივ პროგრამაზე სწავლებას და 2015 წლიდან აქვს მოდულური სწავლების გამოცდილება. კოლეჯის ხარისხის მენეჯერმა აღნიშნა, რომ აქტიურად ჩაატარებს ტრენინგებს პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ყველა საჭირო თემატიკასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

დირექტორის მ/შ-ს მიერ 05.06.2020 N 04/26 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები, რომელშიც გაწერილია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები.

ექსპერტთა შეფასებით საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. საგანმანათლებლო პროგრამის **კედლის დაფარვის სამუშაოები** მოდულებში განსაზღვრულია სასწავლო რესურსი. დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების დროს ექსპერტთა მიერ შემოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომლობა დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგის მეშვეობით. დაწესებუელების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის კოლეჯის ბიბლიოთეკაში როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური სახით. წარმოდგენილი სასწავლო რესურსი შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტში არსებულ სასწავლო რესურსთან. კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით შესაძლებელია პროფესიული სტუდენტთათვის შესაბამისი ცოდნის მიცემა და სწავლის შედეგების გამომუშავება. კოლეჯს ჰყავს ბიბლიოთეკარი, მისი ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია დირექტორის მ/შ-ს მიერ 05.06.2020 N 04/26 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში „კოლეჯის სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები“.

ექსპერტთა შეფასებით საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით, დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „ლაკადას“ წესდების პირველი თავის მე-4 მუხლში განსაზღვრულია კოლეჯის ფუნქცია, რომლის „ბ“ პუნქტში გაწერილია ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელების პირობების შექმნის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისა და მსმენელისათვის შეიმუშავოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის შესაბამისადაც განხორციელდება პროფესიული სტუდენტისა და მსმენელის სწავლება, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ (ბრძ.№04/22. 18.05.2020 წ) მე-5 მუხლში გაწერილია სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

მექანიზმები. აღნიშნულ დოკუმენტში 5.5 ქვეპუნქტში გაწერილია, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება სწავლის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში მასწავლებლისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მიერ. დირექტორის მ/შ-ს მიერ 05.06.2020 N 04/26 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები, რომელშიც გაწერილია ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები. „პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესში“ (დამტკ. 2017 წლის 2 ნოემბრის N230 ბრძანებით) მე-4 მუხლის მიხედვით, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები არიან კომისიის სავალდებულო წევრები. ამავე დოკუმენტის მე-9 მუხლი განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ჩარიცხვის წესს. აპლიკანტის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურების ან უარყოფის მიზნით, ამ მუხლის გათვალისწინებული რეგისტრაციის მიმდინარეობისას კოლეჯი ყოველ მეორე სამუშაო დღეს, რეგისტრაციის ვადის ამოწურვის შემდეგ კი მომდევნო სამუშაო დღეს, უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომ საფეხურებზე დარეგისტრირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ბაზების სამინისტროსთვის მიწოდებას. კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ კოლეჯს 2016 წლიდან ყავს ინკლუზიური სპეციალისტი. საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი ჩართვა სასწავლო პროცესში. კოლეჯის ბიბლიოთეკარმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ მას წინასწარ მიეწოდება ინფორმაცია სსსმ პირთან დაკავშირებით და შესაბამისად მიიღებენ ზომებს სასწავლო რესურსებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა შეფასებით სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. საგანმანათლებლო პროგრამა **კედლის დაფარვის სამუშაოები** ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, კოლეჯი ვაუჩერული დაფინანსების სახით იღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს კოლეჯში განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

მთლიან პროგრამაზე ვაუჩერული დაფინანსებიდან გაიცემა პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება (საათების რაოდენობა გაწერილია შრომით ხელშეკრულებაში), სასწავლო მიზნით გაწეული ხარჯი. დაწესებულებამ განაცხადით წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი, პროგრამის ბიუჯეტის გათვლის დროს გათვალისწინებულია რენტაბელური სტუდენტთა რაოდეონობა. ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები. კოლეჯმა წარმოადგინა პროგრამის ბიუჯეტი, სადაც განსაზღვრულია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. შემოსავლების ნაწილში სულ განსაზღვრულია - 48 164,62 ლარი და ხარჯების ნაწილში - 48 164,62 ლარი. ხარჯების ნაწილი მოიცავს: მასწავლებლის შრომის ანაზღაურება (ვაუჩერული დაფინანსება) -21 750 ლარი; სასწავლო მიზნით გაწეული ხარჯი (ვაუჩერული დაფინანსება) – 6 610 ლარი; ადმინისტრირების ხარჯი (პროგრამული დაფინანსება) – 19 804,62 ლარი. პროგრამის რენტაბელობის ზღვარის განსაზღვრულია 5 პროფესიული სტუდენტით .

ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. სასურველია ბიუჯეტის ხარჯების ნაწილში, ბიუჯეტის პროცენტული მაჩვენებლების სვეტში განსაზღვრულ პროცენტულ მაჩვენებლებში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საგანმანათლებლო პროგრამა „კედილის დაფარვის სამუშაოები“ და მოდულები (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს 12.06.2020 № 04/35 ბრძანებით).
2. დაწესებულების ელექტრონული კატალოგი (OPAC) http://biblio.lakada.edu.ge/opac/index.php
3. ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდის ფაქტობრივი მდგომარეობა;.
4. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
5. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული ხეშეკრულებები;
6. სსიპ-კოლეჯში „ლაკადა“ პროგრამების დამტკიცებისა, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს 11.06.2020 №04/32 ბრძანებით)
7. „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“(დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს 30.12.2019 N04/122 ბრძანებით)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

8. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი”(დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს 18.06.2020 N04/22 ბრძანებით)
9. „პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“ (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს 02.11.2017 N230 ბრძანებით)
10. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №125/ნ 2019 წლის 19 ივნისი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ ,,ლაკადას“ წესდების დამტკიცების შესახებ“.
11. „სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“(დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს 21.08.2018 N158 ბრძანებით)
12. „ბიბლიოთეკის მუშაობის წესი“(დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ -ს 14.05.2019 N04/37 ბრძანებით)
13. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
14. მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან.
15. ინტერვიურება კოლეჯის წარმომადგენლებთან.
16. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ შემუშავებული და უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგია(N04/33 11.06. 2020), რომელსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების საშუალებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით კოლეჯი: ა) შეიმუშავებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემას; ბ) რის გამოც, ადგენს პროგრამის შეფასებისათვის სხვადასხვა სახის დოკუმენტაციას (პროფესიულ სტუდენტთა კითხვარებს, პროფესიული განათლების მასწავლებლების კითხვარებს, კურსდამთავრებულთა სტატისტიკას, დამსაქმებელთა კითხვარებს, ინტერვიუს შედეგებს, დასწრების ოქმებს მოდულის შიდა შეფასებისათვის). შეფასება ტარდება გამოკითხვის მეთოდით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, მოდულური პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. ხარისხის მართვის მენეჯერი აფასებს, პროგრამის განხორიელებისას გამოყენებული სასწავლო, ტექნიკური საშუალებებისა და დამხმარე თვალსაჩინოებების არსებობის საკითხს, რაც სწავლების მეთოდების შესაბამისი უნდა იყოს. ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ფასდება, რამდენად უწყობს ხელს პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტებსა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს ინტერაქტიურ სწავლა-სწავლების პროცესს.

კოლეჯის დირექტორის მ/შ 2019 წლის 15 მაისის N04/43 ბრძანებით დამტკიცებულია „განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც ითვალისწინებს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლს. აღნიშნულ დოკუმენტის მე-2 მუხლში გაწერილია სწავლების შეფასების ციკლის ეტაპები - დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე. „დაგეგმის“ ციკლი ითვალისწინებს სწავლების გაუმჯობესების მიზნით ჩასატარებელ ღონისძიებებს. დგინდება შესრულების შეფასების მტკიცებულებების სახეები და განმახორციელებლები. დაგეგმილია პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროება, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით ახალი მექანიზმების დანერგვის საჭიროება. აღნიშნულია, რომ პარტნიორ დამსაქმებლებთან კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა ახალი კითხვარები და ხორციელდება მისი დატესტვა.

ციკლი „განახორციელე“ მოიცავს სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფას ისეთი აქტივობებით, როგორიცაა მეცადინეობებზე დასწრება, სასწავლო პროცესის ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება, სტუდენტთა მოტივაციის გაზრდა სხვადასხვა ტიპის აქტივობებით, საწარმოო პრაქტიკის ორგანიზება დასაქმების პერსპექტივების გათვალისწინებით და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების დროს ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა საგანმანთლებლო პროგრამის **კედლის დაფარვის სამუშაოები** განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. დასაბუთებაში განსაზღვრულია კვლევის მიზნები, ამოცანები, კვლევის მეთოდოლოგია, <u>კვლევის შედეგები (კერძო სექტორი და დამსაქმებლები), კვლევის შედეგები (ადგილობრივი თვითმმართველობა), კვლევის შედეგები (საზოგადოება).</u> ანგარიშის ბოლოს წარმოდგენილია დასკვნა. კვლევის ამოცანებად განსაზღვრულია შემდეგი საკითხები - პროფესიებზე მოთხოვნის შესწავლა, მნიშვნელოვანი სპეციალობების განსაზღვრა, კოლეჯთან თანამშრომლობის სურვილის განსაზღვრა კერძო სექტორის მხრიდან, პროფესიულ პროგრამებთნ დაკავშირებული მოლოდინების განსაზღვრა და სხვ. კერძო სექტორის კვლევებმა აჩვენა, რომ ინჟინერიის მიმართულებაზე ძალზედ დიდი მოთხოვნაა. კერძო სექტორმა კოლეჯთან თანამშრომლობაზე დიდი სურვილი დააფიქსირა. რაც შეეხება საზოგადოების კვლევას, აქ დაფიქსირდა კონკრეტულად სამღებრო სამუშაოების სპეციალისტების საჭიროება. ადგილობრივი მუნიციპალიტეტების კვლევისას დადგინდა, რომ აღნიშნულ სპეციალობას პრიორიტეტად მიჩნევს გამოკითხულთა 72%.

ექსპერტებმა შეისწავლეს ხარისხის მართვის მენეჯერის 2019 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების ანგარიში, რომელიც მოიცავს ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაზე დაკვირვების და ანალიზის შესახებ. დოკუმენტში წარმოდგენილია : შესასრულებელი აქტივობა, შემსრულებელი, შესრულების თარიღი და ინდიკატორი. დაწესებულებამ ექსპერტებს ასევე წარმოუდგინა 16.05.2019 ჩატარებული კვლევის შედეგი-მოდულური პროგრამის დანერგვა-განხორციელებასთან დაკავშირებით სტუდენტის გამოკითხვის ანალიზი, საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარი, 2019 წლის განმავლობაში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის შეფასების გრაფიკი და მოდულების განხორციელების პროცესის მონიტორინგის გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ექსპერტთა შეფასებით პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას.

2. კოლეჯმა წარმოადგინა „საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის მეთოდოლოგიის და შიდა ვერიფიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ“ დოკუმენტი (ბრძანება №04/27. 05.06.2020 წ). შიდა მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის მეთოდოლოგიით განსაზღვრულია მონიტორინგის ჯგუფის შექმნის პირობები, მონიტორინგის ჯგუფის ამოცანები, შიდა მონიტორინგის განხორციელების ეტაპები და მონიტორინგის განხორციელების მოსალოდნელი შედეგები. მონიტორინგის განხორციელების მოსალოდნელი შედეგების პუნქტში გაწერილია განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელშემწყობი ცალკეული მიდგომების დანერგვის საკითხები. დოკუმენტის დასკვნით ნაწილში განსაზღვრულია მონიტორინგის ინსტრუქციის შემუშავების მიზანი-სწორად წარმართოს მოდულური პროგრამის განხორციელება/განვითარებაზე მიმართული საქმიანობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სსიპ- კოლეჯის „ლაკადა“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კედლის დაფარვის სამუშაოები“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება.
2. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“(დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ -ს 18.05.2020 N04/22 ბრძანებით)
3. „განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“(დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს 15.05. 2019 N04/43 ბრძანებით)
4. „საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის მეთოდოლოგიის და შიდა ვერიფიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ“ (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს 05.06.2020 №04/27 ბრძანებით)
5. დაწესებულებეის წარმომადგენლებთან ინტერვიურება;
6. ფაქტობრივი გარემოებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგანმანათლებლო პროგრამას **კედლის დაფარვის სამუშაოები** თან ახლავს სასწავლო გეგმა,რომელიც შემუშავებულია მოდულების წინაპირობებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით. გასაუბრების დროს კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწავლა წარიმართება სასწავლო გეგმის მიხედვით.სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

განხორციელებას. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესის (დამტკ. 18.05.2020წ. ბრძ.№04/22) მე-11 მუხლი მოიცავს ინფორმაციას პროფესიული სტუდენტის შეფასების შესახებ, პროფესიული სტუდენტის შეფასება მიმდინარეობს სასწვალო გეგმის შესაბამისად.

2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესის (დამტკ. 18.05.2020წ. ბრძ.№04/22) მე-4 მუხლი მოიცავს ინფორმაციას სასწავლო პროცესის ორგანიზების შესახებ. პროგრამის დაწყება/დამთავრება რეგულირდება აკადემიური კალენდრით, რომელიც მტკიცდენა კოლეჯის დირექტორის მიერ. კალენდარულ გეგმებს და შეფასების ინსტრუმენტებს, სასწავლო გეგმის და მოდულების მიხედვით ადგენენ პროფესიული განათლების მასწავლებლები და უთანხმებენ სასწავლო პროცესისა და სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს.

სსსმ პირებისთვის კალენდარული გეგმისა და მოდულების გათვალისიწნებით, მოდიფიცირებულ სასწავლო მასალას განსაზღვრავს და ადგენს საჭიროებისამებრ პროფესიული განათლების მასწავლებელი ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან ერთად.

ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია კომპიუტერებით, პროექტორებით და ყველა საჭირო რესურსით, ეს ხელს უწყობს თანამედროვე ტექნოლოგიებით სწავლებას. მოდულები ითავლისწინებს სწავლების ინტერატიული მეთოდების გამოყენებას. ინტერვიურებისას პროგრამის განმახორციელენელმა პირებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულება ზრუნავს მათ გადამზადებაზე სხვადასხვა მიმართულებით. მათ შორის სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებზე და თანამედროვე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ტექნოლოგიებზე. აღნიშნული ტრენინგები ტარდება როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ასევე კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის მიერ. პროგრამის განმახორციელენელმა პირთა პირად საქმეებში წარმოდგენილია შესაბამისი სერთიფიკატები. პროგრამის ხელმძღვანელმა და პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ინტერვიურებისას გამოხატეს მზაობა, რათა მოხდეს მათი გადამზადება სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის სწავლების თანამედროვე მეთოდებზე, შეფასების მეთოდებზე, შეფასების ინსტრუმენტების შექმნასთან დაკავშირებულ საკითხებზე და სხვ. **ექსპერტთა შეფასებით სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

4. დაწესებულებას გააჩნია გამოცდილება შშმ და სსსმ პირებისათვის უზრუნველყოს დამატებითი ხელშეწყობის პირობები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების დროს. ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოდულური მიდგომით სწავლის განხორციელებისას სასწავლო პროცესის ორგანიზება მოხდება სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით და მათთვის ყველა ხელშეწყობის ღონისძიება იქნება ხელმისაწვდომი.

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ (ბრძ. N04/22. 18.05.2020 წ), მე-4 მუხლში გაწერილია სასწავლო პროცესის ორგანიზების პირობები. დოკუმენტის 4.4. პუნქტში, მოდულური პროგრამების შემთხვევისათვის გაწერილია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელი ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან შეთანხმებით ადგენს მოდიფიცირებულ სასწავლო მასალას სსსმ პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე. „პროფესიული სტუდენტის შეფასების წესის“ მე-9 პუნქტის მიხედვით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით, შშმ და სსსმ პირები პროგრამაზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობების დაძლევის გარეშე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ექსპერტთა შეფასებით პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. დაწესებულებას პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. **(იხ. კომპონენტი 2.2.1-1)**

6. დაწესებულებას ყავს უსაფრთხოებაზე იდენტიფიცირებული პასუხისმგებელი პირი-სპეციალისტი, რომელიც პერიოდულად პროფესიულ სტუდენტებს და პერსონალს უტარებს ინსტრუქტაჟს უსაფრთხოების შესახებ. დაწესებულება სწავლების განხორციელებას უზრუნველყოფს უსაფრთხოების ნორმების დაცვით. კოლეჯს შემუშავებული აქვს, „უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი“. (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მ/შ-ის 30.08.2018 წლის #163 ბრძანების საფუძველზე. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია - უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფორმები (მუხლი 2), ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფა (მუხლი 3), სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფა (მუხლი 4). უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები (მუხლი 5).

<u>ექსპერტთა შეფასებით AდაB გარემოში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო გარემოში, C გარემო დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების დროს დაწესებულებას არ ჰქონდა , პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია, რომ შემუშავებულ იქნეს დამატებით უსაფრთხოების წესები კედლის დაფარვის სამუშაოების პროგრამისთვის განკუთვნილ C გარემოსთვის და გამოკრულ იქნეს უშუალოდ აღნიშნულ გარემოში.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

1. საგანმანათლებლო პროგრამა „კედლის დაფარვის სამუშაოები“ და მოდულები (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს 12.06.2020 N 04/35 ბრძანებით).
2. პროგრამის სასწავლო გეგმები.
3. „უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი“ (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს 30.08.2018 N163 ბრძანებით).
4. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი”(დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს 18.05.2020 N04/22 ბრძანებით);
5. პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული მემორანდუმები;
6. ინტერვიურება კოლეჯის წარმომადგენლებთან;
7. ფაქტობრივი გარემოება;
8. ვიზუალური დათვალიერება.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგანმანთლებლო პროგრამის **კედლის დაფარვის სამუშაოები მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, ვებგვერდზე განთავსებულ საგანმანათლებლო პროგრამების 2020წლის კატალოგში და პროგრამაში. ექსპერტთა შეფასებით იგი არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური** - შეფასება არსებობს განმსაზღვრელი და განმავითარებელი, შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში. მარეგულირებელი წესი ასევე მოიცავს ინფორმაციას პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების შესახებ. მარეგულირებელი წესი განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე.
2. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „შიდა ვერიფიკაციის პროცედურები“ (ბრძანება №04/27. 05.06.2020 წ). დოკუმენტში განსაზღვრულია შეფასების სისტემის მახასიათებლები - ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, ობიექტურობა, სამართლიანობა. დოკუმენტით განსაზღვრულია ვერიფიკაციის მიმართულებები და სამიზნე ინსტრუმენტების შერჩევა (რისკების სისტემა) და შიდა ვერიფიკაციის განხორციელების პროცედურას. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით და კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრებით ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ხარისხის მენეჯერი აკეთებს საბოლოო დასკვნას, საჭიროების შესაბამისად შეიმუშავებს ხარვეზების გამოსწორების გეგმას და ახდენს შემუშავებული გეგმის შესრულების მონიტორინგს. **ექსპერტთა შეფასებით ვერიფიკაციის პროცესი გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, ვინაიდან ვერიფიკატორი არ იქნება ის პირი, რომელმაც შეფასების ინსტრუმენტის შეიმუშავებაში მიიღო მონაწილეობა, ანუ სასწავლო პროცესის ან სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

3. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით არქივში; კვალიფიკაციის მინიჭების უწყისები დაწესებულებაში ინახება უვადოდ. დაწესებულების წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს დაგვისატსურეს ზემოთაღნიშნული. **ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**
4. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად დაწესებულებაში სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია ჩატარდეს, როგორც ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, ასევე შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად შეფასება. შეფასების ჩატარებისთანავე პროფესიული განათლების მასწავლებელი სტუდენტის პორტფოლიოს და შეფასების უწყისებს აბარებს სასწავლო პროცესის მენეჯერს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს კოლეჯის შიდა მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის მეთოდოლოგია(05.06.2020 N04/27). მეთოდოლოგიის შესაბამისად მონიტორინგის ჯგუფის ამოცანაა პროფესიული სტუდენტების მიღწევების ანალიზი, რის საფუძველზეც მოხდება მიმდინარე პრობლემების დროული იდენტიფიცირება და გამოვლენილი პრობლემების აღმოფხვრა, შესაბამისად მოდულური პროგრამების სწორად წარმართვა და პროფესიული სტუდენტების განვითარებაზე მიმართული საქმიანობის განხორციელება. **ექსპერტთა შეფასებით პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

   რეკომენდირებულია სასწავლო პროცესის მენეჯერმა მოახდინოს კოორდინირებული თანამშრომლობა მონიტორინგის ჯგუფთან და პროფესიული სტუდენტების მიღწევების ანალიზის შედეგად მიღებული ინფორმაცია დაიყვანოს პროფესიულ სტუდენტებამდე მათი შემდეგომი განვითარებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საგანმანათლებლო პროგრამა „კედლის დაფარვის სამუშაოები“ და მოდულები (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს 12.06.2020 N 04/35 ბრძანებით).
2. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი”(დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს 18.05.2020 N04/22 ბრძანებით);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

3. „შიდა მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის მეთოდოლოგია“ და „შიდა ვერიფიკაციის პროცედურები“ (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს 05.06.2020 №04/27. ბრძანებით).
4. დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია - დანართი წამოდგენილია ცენტრში დასკვნის პროექტთან ერთად.

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

23.07.2020

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---